13/09/2024

MES 9 24 0001118809

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქალაქი თბილისი, 30/08/2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი
დასრულებისდრო: 14:48 საათი
საბჭოსთავმჯდომარე: კახა შენგელია
საბჭოსმდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2024 წლის 30 აგვისტოს**.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წე ვრები:

1. **კახა შენგელია** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **დავით ლეშკაშელი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პრფესორი;
5. **მიხეილ გურგენიძე** - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ-პროფესორი;
6. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს პროფესორი;
8. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
9. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ნინო ჩინჩალაძე -** ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

11. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **ემილ ავდალიანი** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
14. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი**- სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
15. **თამარ იოსელიანი** - შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) მოწვეული წევრები:

1. **ივანე აბიათარი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინტიტუტის დირექტორი და "მედიცინის სკოლის" ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
2. **ნინო ოკრიბელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი;
3. **მაია ბიწკინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
4. **თამარ ვალიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
5. **ბიძინა კულუმბეგოვი** - ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს „კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის“ მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
6. **ზაზა ავალიანი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის "მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
7. **მარინე გელანტია** - სს "ჩაჩავას კლინიკის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
8. **ნინო შარიქაძე** - შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.
9. **დავით კობეშავიძე** - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;
10. **გივი ჯავაშვილი** - საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
11. **ივანე ჩხაიძე** - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
12. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;

13. **შორენა წიკლაური -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სარჯველაძე- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი:

1. ლევან ტვილდიანი - რექტორი
2. ნინო თაბაგარი - დეკანი
3. თამარ თალაკვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
4. ნინო გიორგაძე - იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი:

ირაკლი ნატროშვილი - რექტორი
ალექსანდრე ბუაჩიძე - კანცლერი
სოფიო ბახტაძე - ვიცე-რექტორი
რუსუდან რუხაძე - ვიცე-რექტორი
ხათუნა თოდაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
თინათინ ტყემალაძე - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი
დავით თოფურია - მედიცინის და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანი
ნინა მარიამიძე - ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელი
სალომე ვორონოვი - სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპ ერტები):

მაირი გრეი ბროუნინგ სკოტი (Mairi Gray Browning Scott)
მარგუს ვიიგიმა (Margus Viigimaa)
კეროლ სიბილ ჰოდგსონ ბირკმენი (Carol Sybil Hodgson Birkman)

სალომე ვორონოვი
თინათინ გაბრიჩიძე
მარიამ ღამბაშიძე
ცოტნე სამადაშვილი
გიორგი მღვდელაძე
ვლადიმერ მარგველაშვილი
ნინო ჩიხლაძე
ნინო ამირანაშვილი
სოფიო სამხარაძე
ლანა ბოკუჩავა

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ კახა შენგელიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

სხდომის დაწყების დრო: 14:03 საათი

1. პირველი საკითხი: შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს/მოწვეული საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის და მოწვეული საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს/მოწვეული საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს/მოწვეული საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მაირი გრეი ბროუნინგ სკოტი მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტს და განსახილველ საკითხთან მიმართებით აღნიშნა, რომ შეფასება იყო ძალიან ინფორმატიული და ყველაფერი განხორციელდა გეგმის შესაბამისად. მან ასევე, მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტს იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდა გარკვეული რეკომენდაციების გაზიარება. ექსპერტმა ასევე, ისაუბრა გარკვეულ გამოწვევებზე, რომლებიც ძირითადად ეხებოდა კამპუსის განახლებას და ახალ კამპუსთან დაკავშირებით, ამ საკითხებს ჰქონდა განსაკუთრებული გავლენა მეშვიდე სტანდარტის შესაბამისობაზე. გარდა ამისა, იყო გარკვეული საკითხები, რომელიც მხოლოდ უნივერსიტეტის კონტროლს არ ექვემდებარებოდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ნაწილში და ზოგადად ეს საკითხი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი. ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პირველ, მეორე, მეოთხე და მეშვიდე სტანდარტებში იყო გაცემული გარკვეული რეკომენდაციები. ექსპერტმა მოცემული რეკომენდაციებიდან ხაზი გაუსვა რამდენიმეს და ძირითადად ამოიკითხა იმ რეკომენდაციების ძირითადი ფორმულირებები, რომელიც არის მოცემული დასკვნაში. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ გარდა პირველი, მეორე, მეოთხე სტანდარტში მოცემული რეკომენდაციებისა დანარჩენი ძირითადი საკითხები ეხებოდა მეშვიდე სტანდარტს და ინფრასტრუქტურის საკითხებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გამოთქვა ამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრება არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, სადაც ამბობს, რომ მოცემული კუთხით მათ აქვთ გარკვეული გამოწვევები. ასევე, პროფესორმა სკოტმა თქვა, რომ იყო გაცემული გარკვეული რჩევებიც, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი იქნებოდა დაწესებულებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ გარდა რეკომენდაციებისა და

რჩევებისა, იყო მოცემული საუკეთესო პრაქტიკები, რაც ასახულია დასკვნაში და ეხება სტუდენტების ხარისხის უზრუნველყოფის კლუბს, რეზიდენტურის პროგრამის შემუშავებას შიდა და საოჯახო მედიცინაში და ასევე ,,body interact'' და ,,practicum script''-ის ელექტრონული რესურსების შეძენის საკითხებს. შემაჯამებელი შეფასების სახით კი აღნიშნა, რომ ის ინიციატივები და ზოგადად პერსონალის ძალიან დიდი მონდომება და თავდადება უნივერსიტეტში, რომელიც აუცილებლად იქნება საწინდარი მეტი კმაყოფილებისა სტუდენტების მხრიდან და ზოგადად, უნივერსიტეტს უსურვა დიდი წარმატება და თავიანთი ძლიერი მხარეების უფრო მეტად გამოყენება სამომავლო განვითარებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის სხვა წევრებს, განსახილველი საკითხის ირგვლივ არ გამოუთქვამთ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიან თი პოზიცია.

დაწესებულების რექტორი ლევან ტვილდიანი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხდა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ სხდომას ასევე ესწრებოდნენ: უნივერსიტეტის დეკანი ნინო თაბაგარი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თამარ თალაკვაძე და იურიდიული სამსახურის უფროსი ნინო გიორგაძე. მან ხაზი გაუსვა, იმ გარემოებას რომ ექსპერტებმა ძალიან დიდი შრომა გასწიეს და სიღრმისეულად ჩაწვდნენ დაწესებულების საკითხებს და პრობლემატიკას, გულისხმიერად მოეკიდნენ განსახილველ საკითხს და ასახეს მათ დასკვნაში ჭეშმარიტი მდგომარეობა. ასევე აღნიშნა, რომ თითქმის სრული თანხვედრა იყო დაწესებულებისა და ექსპერტების მოსაზრებებისა, მცირე გამონაკლისებით. დაწესებულების პოზიცია ასევე, გათვალისწინებულ იქნა ექსპერტების მიერ და შედეგად ასახული იყო საბოლოო დასკვნაშიც. ლევან ტვილდიანმა ასევე აღნიშნა ძირითადად ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ ის, რომ იყო გეგმა ახალი კამპუსის მშენებლობის, თუმცა, პრობლემა შეიქმნა, რადგან მდებარეობა სადაც აღნიშნული შენობა უნდა განთავსებულიყო, თბილისში 112-ის შენობის მიმდებარედ, კომუნიკაციების მშენებლობის შედეგად მიწამ გაიჩინა ბზარი და შესაბამისად, მერიის მიერ შეჩერებულ იქნა აღნიშნული პროექტის განხორციელება. ასევე, თავისი როლი ითამაშა პანდემიურმა პერიოდმა. რექტორმა აღნიშნა, რომ ახლა, დაწესებულებას აქვს მოლაპარაკება ,,ლისი ლეიქ დეველოპმენტ''-თან და ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე შერჩეულია ახალი ადგილი. ასევე, მუშობა მიმდინარეობს ახალი კამპუსის პროექტზე და ორ ან სამ წელიწადში უნივერსიტეტს ექნება ახალი სასწავლო შენობა. მან დაამატა, რომ დასკვნაში ასახულ პრობლემურ საკითხზე, რომელიც ეხებოდა 7.1 სტანდარტს - შენობას და საბიბლიოთეკო რესურსებს, ახალი კამპუსის აშენება მოაწესრიგებდა ზემოაღნიშნულს. მან ასევე, გამოთქვა მზაობა საბჭოსთვის წარმოედგინა მტკიცებულებები ამის თაობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დეკანმა ნინო თაბაგარმა დაამატა, რომ დასკვნაში აღნიშნული ,,practicum script'' მოითხოვდა ფინანსებს, რომელიც საუკეთესო პრაქტიკაში იყო აღნიშული ექსპერტების მხრიდან. მოცემულმა შექმნა შესაძლებლობა გარანტირებულად განევითარებინა უსდ-ს ისეთი მნიშვნელოვანი უნარი, როგორიც კლინიკური განსჯაა, და რომელიც მხოლოდ ერთი ან ორი ტრენინგით ვერ იქნებოდა ამოწურული, თუ კი მთელი ექვსი წლის განმავლობაში საფუძვლად არ დაედებოდა სტუდენტების მომავალ განვითარებას. მან აღნიშნა, რომ რადგან, ვერცერთი საუკეთესო რეზიდენტურის პროგრამა ვერ გამოასწორებს სტუდენტების კლინიკურ საქმიანობას, ამიტომ ეს იყო ის პრიორიტეტი, რომელიც იქნა განსაზღვრული დაწესებულების მხრიდან. გარდა ამის, მან დაამატა, რომ ყველასათვის გასაგებია, რომ მხოლოდ კამპუსი კი არ არის აუცილებელი, არამედ თანაბრად მნიშვნელოვანია სასწავლო ბაზებიც, სადაც, ყველა კლინიკურ დისციპლინას გადის მედიკოსი სტუდენტი. ამ თვალსაზრისით, დაწესებულებას საუკეთესო კლინიკები ჰქონდა შერჩეული და ახალი დარგობრივი ჯგუფის მიერ წამოყენებული მოთხოვნების შესაბამისად, ის კიდევ უფრო მეტად უნდა გაძლიერებულიყო.

დაწესებულების დეკანმა აღნიშნა, რომ მათ თავიანთ კლინიკურ ბაზებთან განამტკიცეს ხელშეკრულებები, მათ შორის ფინანსური ანგარიშვალდებულებების კუთხით, რაც ასევე ფინანსების მობილიზაციას მოითხოვდა. ასევე დასძინა, რომ არსებული სასწავლო ბაზები, მათ შორის ,,GSI'' აკრედიტაცია მიღებული ,,კავკასიის მედიცინის ცენტრი'' და ,,იაშვილის კლინიკა''. მან აღნიშნა, რომ კამპუსის სანაცვლოდ დაწესებულება ვერ დათმობდა ამ ბაზებს, სადაც სტუდენტები ექვსიდან მინიმუმ სამი წლის განმავლობაში კლინიკურ როტაციებს გადიან. მისი მოსაზრებით ეს ბაზებიც, კამპუსიც და ინფრასტრუქტურაც უნდა იქნას შეფასებული შიდა და გარე ექსპერტის მიერ. ასევე, მან დაამატა, რომ ორი საერთაშორისო ორგანიზაციის კონფერენციის ჰოსტი გახდა საქართველო, დაწესებულების ფინანსური ხელშეწყობით. კონფერენციამ ხელი შეუწყო დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის (და არა მარტო) ცნობადობის გაზრდას, ასევე, მათი ხელშეწყობით საქართველოში საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობებიც გაიზარდა. გარდა ამისა, როდესაც საუბარია საზოგადოებრივ და სოციალურ აქტივობებზე, მან მიიღო ექსპერტთა თავმჯდომარის შენიშვნა მიზნის განაცხადთან დაკავშირებით, რადგან ცოტა მოკრძალებულია მიზნის განაცხადი იმ გეგმებთან შედარებით, რაც უკვე განხორციელდა და კიდევ განხორციელდება. მან აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული იყო აუცილებელი პრიორიტეტული ხარჯები და ყველა გადაუდებელი საკითხი დღეის მდგომარეობით მოგვარებულია. ხელს არაფერი უშლის იმ პროექტის განხორციელებას რასაც კამპუსის მშენებლობა ჰქვია და რომელიც, მაქსიმუმ სამ წელიწადში დასრულებული იქნება. ასევე, აღნიშნა, რომ ახალი კამპუსის მოწყობისთვის საჭიროა კიდევ სხვა მატერიალური რესურსი და ამ თვალსაზრისით ექსპერტებს არ ჰქონიათ შენიშვნა, რადგან არსებობს არსებული ელექტრონული საჭირო რესურსების რაოდენობა და დარგობრივი დოკუმენტით მოთხოვნილი ,,სქილს ტრენინგი''-თვის საჭირო აპარატურა. შესაბამისად, პრაქტიკულად როგორც კი შენობა იქნება, მისი მოწყობა გარანტირებულია, რადგან ამის მატერიალური რესურსი უკვე არსებობს უნივერსიტეტის არსებულ შენობებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კახა შენგელიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, მას აინტერესებდა, კერძოდ სად მდებარეობდა ძირითადი კორპუსი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ლევან ტვილდიანმა აღნიშნა, რომ ძირითადი კორპუსი მდებარეობს დიღომში, ლუბლიანას ქუჩაზე. ხოლო, რუსთავში მდებარეობს მეორე კორპუსი, სადაც არის საერთო საცხოვრებელი და სასწავლო ფართი.
სხვა კითხვები საბჭოს წევრებს განსახილველი საკითხის ირგვლივ არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:31
დასრულების დრო: 14:36

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი (ძირითადი საბჭო):
მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

კენჭისყრის შედეგი (მოწვეული საბჭო):
მომხრე: 13

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, 32^7 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის (ს/კ 211360203) მიენიჭოს ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 1400 - ით, მათ შორის:

- დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი პროგრამა - 560 ადგილი;
- დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი PBL პროგრამა - 190 ადგილი;
- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამა - 500 ადგილი;

2. მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს/მ ოწვეული საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს/მოწვეული საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს/მოწვეული საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

აცილება განაცხადეს ზურაბ ორჯონიკიძემ, გაიანე სიმონიამ, გივი ჯავაშვილმა და ივანე ჩხაიძემ.
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მაირი გრეი ბროუნინგ სკოტი მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტს და აღნიშნა, რომ მოხარული იყო არსებული შედეგით, ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტებზე მოახდინა შთაბეჭდილება გუნდის ერთგულებამ და ენთუზიაზმა, რომ იმუშაონ წინსვლისკენ.

ექსპერტმა, ნინო ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ პროგრესი იყო სახეზე რითაც მოიხიბლნენ ექსპერტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიან თი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომაზე არ დაუფიქსირებიათ თავიანთი პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარეს კახაბერ შენგელიას დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, კერძოდ გაეჟღერებინათ თავიანთი მოთხოვნა კვოტების მომატების თაობაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ მათ ვინაიდან აკრედიტაციის პროცესში 2021 წელს, მათი პროგრამებისთვის არ იყო დადგენილი კვოტები, ვინაიდან იმ პერიოდში ამგვარი პრაქტიკა არ იყო დაწყებული. დაწესებულებამ განსაზღვრა ბოლო სამი წლის სტატისტიკით, ის კონტიგენტი რომელიც არის პროგრამებზე და გარკვეული მცირედი პროგნოზული მატებით ითხოვს დაწესებულება ამჟამად კვოტის დამტკიცებას, ეს არის დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვან პროგრამაზე 3300 (სამი ათას სამასი), დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე 2800 (ორი ათას რვაასი) ადგილი, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე 400 (ოთხასი) ადგილი და დიპლომირებული მედიკოსის რუსულენოვან პროგრამაზე 150 (ას ორმოცდაათი) ადგილი.
სხვა კითხვები საბჭოს წევრებს განსახილველი საკითხის ირგვლივ არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:40
დასრულების დრო: 14:46

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

კენჭისყრის შედეგი (მოწვეული საბჭო):
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, 32^7 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის და მე-5 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს (ს/კ 211328703) მიენიჭა ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 11700-ით, მათ შორის:

- დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი პროგრამა - 3300 ადგილი;
- დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა - 400 ადგილი;
- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამა - 2800 ადგილი;
- დიპლომირებული მედიკოსის რუსულენოვანი პროგრამა - 150 ადგილი.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 30 აგვისტოს 14:48 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა